სსტ ისო 10015 : 2010

# საქართველოს ეროვნული სტანდარტი

## ხარისხის მენეჯმენტი – სახელმძღვანელო მითითებები ტრენინგისათვის

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების
და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
თბილისი

## საინფორმაციო მონაცემები

1 **შემუშავებულია** TACIS-ის პროექტის პროგრამის "ევროსაბჭოსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულების (PCA) - Europe/125078/C/SER/GE 51-ე მუხლის შესაბამისად ტექნიკური კომიტეტის ტკ 50 "ხარისხის მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასების" მონაწილეობით.

სტანდარტს ჩაუტარდა ენობრივი ექსპერტიზა საქართველოს არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში

2 **დამტკიცებულია და შემოღებულია სამოქმედოდ** საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 1 დეკემბრის № 110 "ს" განკარგულებით

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტის ისო 10015 : 1999 "ხარისხის მენეჯმენტი – სახელმძღვანელო მითითებები ტრენინგისათვის" ავთენტიკურ თარგმანს

4 **პირველად**

5 **რეგისტრირებულია** საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს რეესტრში: 2010 წლის 2 დეკემბერი № 268-1.1-00258

წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი აღწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე არ დაიშვება

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სარჩევი


1 გამოყენების სფერო 1
2 ნორმატიული მითითებები 1
3 ტერმინები და განმარტებები 2
4 სახელმძღვანელო მითითებები ტრენინგისთვის 2
4.1 ტრენინგი: ოთხეტაპიანი პროცესი 2
4.2 ტრენინგის საჭიროებების განსაზღვრა 4
4.3 ტრენინგის დიზაინი და დაგეგმვა 6
4.4 ტრენინგის მომზადება 8
4.5 ტრენინგის შედეგების შეფასება 9
5 ტრენინგის პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება 10
5.1 ზოგადი 10
5.2 ტრენინგის პროცესის ვალიდაცია 10

დანართი A (საინფორმაციო) ცხრილები 11


საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

## წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) არის სტანდარტების ეროვნული სააგენტოების (ისო–ს წევრი სააგენტოები) საერთაშორისო ფედერაცია. როგორც წესი, საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება ხორციელდება ისო-ს ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით. თითოეულ წევრი სააგენტო უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს იმ ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში, რომელიც მისთვის საინტერესო თემაზე მუშაობს. აღნიშნულ სამუშაოებში ისო–სთან ერთად სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებიც მონაწილეობს. ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ–თან).

საერთაშორისო სტანდარტები მუშავდება ისო/იეკ-ის ინსტრუქციების მე–3 ნაწილში მოცემული წესების თანახმად.

ტექნიკური კომიტეტების ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების მომზადება. საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო ვერსიები ეგზავნება წევრ სააგენტოებს ხმის მიცემის მიზნით. საერთაშორისო სტანდარტის გამოსაქვეყნებლად საჭიროა წევრი სააგენტოების მინიმუმ 75% გადამწყვეტი ხმა.
აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტის ზოგიერთი ელემენტი შესაძლოა წარმოადგენდეს საპატენტო უფლებების სუბიექტს. ისო არაა პასუხისმგებელი ყველა ან რომელიმე ამდაგვარი საპატენტო უფლების ამოცნობაზე.

ისო 10015 მომზადდა ისო/ტკ 176-ის ტექნიკური კომიტეტის მიერ, ხარისხის მენეჯმენტი და ხარისხის უზრუნველყოფა, ქვეკომიტეტის 1, დამხმარე ტექნოლოგიების

დანართი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

## შესავალი

ისო 9000 სტანდარტების ოჯახის (10 000 სერია მხოლოდ ნაწილს შეადგენს) ხარისხის მენეჯმენტის პრინციპები ხაზს უსვამს ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელობას და აყენებს შესაბამისი ტრენინგების აუცილებლობის საკითხებს. ეს პრინციპები აღიარებს, რომ მომხმარებელი პატივისცემით ეკიდება და აფასებს როგორც ორგანიზაციის საკუთარი კადრებისადმი დამოკიდებულებას, ასევე ორგანიზაციის სწრაფვას პერსონალის პროფესიული გადამზადებისკენ.

თანამშრომლები ყველა დონეზე უნდა იყვნენ კარგად გადამზადებული, რათა სწრაფად მზარდ ბაზარზე, მომხმარებლის მოლოდინის შესაბამისად შეძლონ სათანადო პროდუქტების შეთავაზება.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტი შეიცავს სახელმძღვანელოებს კადრების პროფესიული გადამზადების საჭირო საკითხებზე. ის შეიძლება გამოყენებული იყოს „განათლებისა“ და „ტრენინგის“ ტერმინების განმარტებისას. ნებისმიერი მიმართება სიტყვა “ტრენინგთან“ ამ დოკუმენტში გაიგივებულია ყველა ტიპის განათლებასთან და პროფესიულ გადამზადებასთან.

ორგანიზაციის მიზნები უწყვეტი განვითარებისკენ, საკადრო რესურსების სამუშაო ეფექტიანობის ჩათვლით, შესაძლოა განპირობებული იყოს შიდა და გარე ფაქტორებით, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ბაზარზე არსებული ცვლილებების, ტექნოლოგიების, ინოვაციების შიდა და გარე ფაქტორებზე, აგრეთვე მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებებზე.

ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება მოითხოვოს ორგანიზაციის მიერ პროფესიულ კომპეტენციასთან დაკავშირებული საჭიროების ანალიზი. ქვემოთ მოცემულ სქემაში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს ტრენინგი, რომელიც საუკეთესო საშუალებაა ამ მიზნების მისაღწევად.

# დიაგრამა




**ხარისხის გაუმჯობესება ტრენინგით**

საერთაშორისო სტანდარტის ფუნქციაა, დაეხმაროს ორგანიზაციას, განსაზღვროს, გაანალიზოს, ჩაატაროს ტრენინგი, შეაფასოს შედეგები, მონიტორინგი გაუწიოს პროცესს. ის ხაზს უსვამს ტრენინგის აუცილებლობას და ეხმარება ორგანიზაციას, გახადოს ტრენინგი ინვესტირების ეფექტურ საშუალებად.

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.